კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს

2016 წლის 3 ნოემბრის #32 ოქმი

სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აწესრიგებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტის) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის მოქმედების პრინციპებსა და წესს, აგრეთვე, ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.

მუხლი 2. დოქტორანტურის დანიშნულება და მიზანი

დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური და მიზნად ისახავს სამეცნიერო-პედაგოგიური კადრის მომზადებას. დოქტორანტურაში სწავლა მთავრდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

თავი II
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. შესაძლებელია, შეთანხმება პარტნიორ უნივერსიტეტთან ითვალისწინებდეს აკადემიური ხარისხის ერთობლივ მინიჭებას.
2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების შესაბამისად.

მუხლი 4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ პროფესორისაგან. **(02-311, 09.09.2024)**
2. **ამოღებულია (დადგენილება #06-24, 25.07.2024)**
3. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება საბჭოს პირველი სხდომის თარიღი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი კომისია. **(დადგენილება #70, 18.10.2019)**
4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო:
   ა. იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი სადოქტორო თემისა და სადოქტორო თემის ხელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცებისა და შეცვლის შესახებ; **(02-311, 09.09.2024)**
   ბ. **ამოღებულია (დადგენილება #57, 31.08.2018)**
   გ. განიხილავს და ღია კენჭისყრით ამტკიცებს სადისერტაციო თემების ნუსხას;
   დ. **ამოღებულია (დადგენილება #57, 31.08.2018)**
   ე. **ამოღებულია (დადგენილება #57, 31.08.2018)**
   ვ. იღებს გადაწყვეტილებას წინასწარი რეცენზენტების დანიშვნის შესახებ;
   ზ. იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის და კოლეგიის შემადგენლობის (მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარის) შესახებ;
   თ. ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ი) ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს სამეცნიერო ხარისხის მაძიებლის მიმართ (მინიმალური სტანდარტი). **(დადგენილება #03-23, 08.02.2023)**

მუხლი 4[1]. დარგობრივი სადისერტაციო საბჭო (დადგენილება #06-24, 25.07.2024)

1. ფაკულტეტზე ორი ან მეტი განსხვავებული სფეროს სადოქტორო პროგრამის არსებობის შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ფარგლებში იქმნება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოები.

2. დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს შექმნის შემთხვევაში, მასში ერთიანდება შესაბამისი სფეროს აკადემიური პერსონალი. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს ორი ან მეტი სადისერტაციო საბჭოს წევრი, თუ მისი კომპეტენცია შეესაბამება შესაბამის სფეროს.

3. ორი ან მეტი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს არსებობის შემთხვევაში, დოქტორის კვალიფიკაციას ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, რომელიც მოქმედებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე. ამ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ სხვა ყველა უფლებამოსილებას ახორციელებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 5. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების შესაბამისად.

2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, წელიწადში, სულ ცოტა, ორჯერ მაინც.

3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგელობის 2/3 მაინც. **(დადგენილება #57, 31.08.2018)**

4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა ნახევარზე მეტი, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით. **(დადგენილება #57, 31.08.2018)**

5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

6. ამოღებულია **(02-311, 09.09.2024)**

7. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე.

8. საბჭოს სხდომაზე მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე უფლებამოსილია, მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

მუხლი 6. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს სადისერტაციო საბჭო, სამი წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.

3. თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს წევრთა არანაკლებ სამ კაციან ჯგუფს კანდიდატის წინასწარი თანხმობით.

3[1]. თავმჯდომარეობის კანდიდატურის წარდგენა შესაძლებელია დოქტორანტურის კოორდინატორთან სხდომის ჩატარების წინა დღის 18 საათამდე. განცხადების წარდგენა ხდება მატერიალური სახით ან ელექტრონულ ფოსტის მეშვეობით. **(დადგენილება #70, 18.10.2019)**

4. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე ვერ ესწრება სადისერტაციო საბჭოს სხდომას, სხდომის თავმჯდომარეს ხმათა უმრავლესობით ირჩევენ დამსწრე პირები.

5. სადისერტაციო საბჭოს პირველი შეკრების დროს სხდომას თავმჯდომარეობს სადისერტაციო საბჭოს უხუცესი წევრი. უხუცესი წევრის შესახებ ინფორმაციას გასცემს პერსონალის მართვის

სამსახური. **(დადგენილება #70, 18.10.2019)**

მუხლი 7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:
   ა. საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;
   ბ. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას;
   გ. შეიმუშავებს რეკომენდაციას დოქტორანტის მიერ სწავლის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ;
   დ. უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის სავალდებულო თემატური სემინარების ორგანიზებას;
   ე. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წელიწადში ერთხელ აბარებს ანგარიშს ჩატარებული საქმიანობის და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
   ვ. ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.;
   ზ. ამოღებულია **(02-311, 09.09.2024)**
   თ. ამოღებულია **(02-311, 09.09.2024)**

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს საკუთარი ინიციატივით, დეკანის, სადისერტაციო საბჭოს მდივნის, დოქტორანტურის კოორდინატორის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა სამი წევრის წინადადებით.

მუხლი 8. სადისერტაციო საბჭოს მდივანი

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს მდივანი, რომელსაც სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, სამი წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, ირჩევს სადისერტაციო საბჭო.

2. სადისერტაციო საბჭოს მდივანი:
   ა. აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს უნივერსიტეტში საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად;
   ბ. ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
   გ. ხელმძღვანელობს საბჭოს არქივსა და საქმისწარმოებას;
   დ. უზრუნველყოფს სხდომის ოქმის წარმოებას.

3. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვალდებულია, სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებები, ასევე, პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ნებისმიერი სხდომის ვადების შესახებ ინფორმაცია აცნობოს დოქტორანტს წერილობითი ფორმით (ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

მუხლი 9. დოქტორანტურის კოორდინატორი

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და სადოქტორო პროგრამის განხორციელების ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს დოქტორანტურის კოორდინატორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი.

2. დოქტორანტურის კოორდინატორი:
   ა. აღრიცხავს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას;
   ბ. ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
   გ. კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუნენტაციის მომზადებაში;
   დ. უზრუნველყოფს დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის მიწოდებას ექსპერტებისა და რეცენზენტებისთვის;
   ე. უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას საინფორმაციო ვებ გვერდზე.

3. დოქტორანტურის კოორდინატორი ვალდებულია, უზრუნველყოს დოქტორანტთან

დაკავშირებული სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებების, ასევე, პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ნებისმიერი სხდომის ვადების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დოქტორანტებისთვის. **(02-311, 09.09.2024)**

მუხლი 9[1]. სადოქტორო პროგრამებზე მიღება

1. სადოქტორო პროგრამებზე მიღება ცხადდება წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ უნივერსიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებებზე.
2. სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უნივერსიტეტში შესაბამის პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებაზე არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, მისაღები დოქტორანტების რაოდენობის განსაზღვრისას, უნივერსიტეტის მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.
3. თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;

თავი III დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 10. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება, მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურს-დამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხ-ოვნათა შესაბამისად.

მუხლი 11. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები

1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, წელიწადში ორჯერ **(დადგენილება # 60, 18.01.2019)**
2. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, კონკურსანტმა სადისერტაციო საბჭოს კოორ-დინატორს უნდა წარუდგინოს განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამა. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
   ა. კონკურსანტის ავტობიოგრაფია (მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესა-ხებ), „CV";
   ბ. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლები (უნივერსიტეტს უფლება აქვს, კონკურსანტს ან უკვე ჩარიცხულ სტუდენტს მოსთხოვოს კანონმდებლობის შესაბამისად დიპლომის აღიარების შესახებ დოკუმენტის წარმოდგენა. აღიარების დოკუმენტის გონივრულ ვადაში წარმოუდგენლობა არის ჩარიცხვაზე უარის ან ჩარიცხული დოქტორანტის ჩარიცხვის ბათილობის საფუძველი);
   გ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;
   დ. შესაბამისი დარგის სპეციალისტთა ორი რეკომენდაცია;
   ე. ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ);
   ვ. მიწერის მოწმობის ან სამხედრო ბილეთის ასლი (სამხედრო ვალდებულისათვის);
   ზ. ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ან დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-

ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (Toefl, IELTS, FCE, CAE). სერტიფიკატის წარდგენისგან თავისუფლდება კონკურსანტი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა დასრულებული აქვს შესაბამის ენაზე. კონკურსანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს შესაბამისი უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ვალდებულია, ენის დონის განმსაზღვრელი გამოცდა ჩააბაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში. **(02-311, 09.09.2024)**

თ. ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ ირიცხება სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში.

ი. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. **(დადგენილება #57, 31.08.2018) (02-311, 09.09.2024)**

კ. კვლევის თეზისს/პროექტს, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა და უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას; **(დადგენილება #57, 31.08.2018) (02-311, 09.09.2024)**

ლ. პროგრამით გათვალისწინებული სხვა დამატებითი დოკუმენტი, რომლის შესახებ მითითებულია სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობაში. **(დადგენილება #69, 30.07.2019)**

მ) სამოტივაციო წერილი **(02-311, 09.09.2024)**

3. განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში სამეცნიერო პუბლიკაციების და კონფერენციებში მონაწილეობის მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს აგრეთვე აღნიშნული მასალების ასლები.

4. დოქტორანტურის კონკურსანტი, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული და რომელსაც სურს ქართულენოვან პროგრამაზე სწავლა, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს (B2 დონე).

მუხლი 12. საკონკურსო გასაუბრებაზე დაშვების წინაპირობები

1. კონკურსანტი, რომელიც დოქტორანტურის კოორდინატორს დადგენილ ვადებში სრულად წარუდგენს წინამდებარე დებულების მე-11 მუხლით გათვალისწინებულ საბუთებს, აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს და იგი დაიშვება გასაუბრებაზე.

2. დოქტორანტურის კონკურსანტი გასაუბრებაზე გადის დოქტორანტურის სამსახურის უფროსის წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილ მიმღებ კომისიაში. **(02-311, 09.09.2024)**

3. კომისიას კონკურსანტის საანკეტო მონაცემებსა და კვლევის პროექტს წარუდგენს დოქტორანტურის კოორდინატორი ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. **(02-311, 09.09.2024)**

4. ამოღებულია **(02-311, 09.09.2024)**

5. დოქტურანტურაში ჩარიცხვისას მხედველობაში მიიღება:

ა. სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;

ბ. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;

გ. სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

მუხლი 13. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად საკონკურსო კომისია ადგენს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას კანდიდატთა შერჩევის შესახებ. **(02-311, 09.09.2024)**

2. კონკურსანტი დოქტორანტურაში ჩაირიცხება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-

გვერდზე.
3. დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან ათი დღის ვადაში უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 14. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება
1. დოქტორანტი სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და კვლევითი სამუშაოს შესრულების უფლებას მოიპოვებს შესაბამისი სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ.
2. დოქტორანტს, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, უჩერდება დოქტორანტის სტატუსი და კარგავს აღნიშნულ სემესტრში კრედიტების მოპოვების უფლებას.
3. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში, სტატუსის ავტომატურ რეჟიმში შეჩერებისას, სემესტრის ათვლა გრძელდება და სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომელშიც გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.
4. დოქტორანტს აკადემიური შვებულება ეძლევა მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 15. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა
1.უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და შინაგანაწესით დადგენილი წინაპირობების გარდა, დოქტორანტს სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეუწყდეს:

ა. პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;

ბ. უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას;

გ. ჩარიცხვის მომენტიდან 8 წლის განმავლობაში დოქტორანტი ვერ შეასრულებს პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. **(დადგენილება #06-24, 25.07.2024)**

დოქტორანტისათვის დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის წარმოების დაწყება ხდება ფაკულტეტის დეკანის, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან სამეცნიერო ხელმძღვანელის მოხსენების საფუძველზე.

2. დოქტორანტის სტატუსი სტუდენტს შეუწყდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და შინაგანაწესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

თავი IV სადოქტორო პროგრამა

მუხლი 16. სადოქტორო პროგრამის შემუშავება და წარდგენა
1. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება:

ა. ფაკულტეტის ერთი ან რამდენიმე პროფესორის მიერ;

ბ. პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად;

გ. სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად - უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. სადოქტორო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
4. სადოქტორო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსები.
5. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში შეიძლება, მონაწილეობდეს:

ა. უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;

ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი;

გ. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

6. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები.

7. სადოქტორო პროგრამაზე აკადემიური წლის განმავლობაში ჩასარიცხ დოქტორანტთა რაოდენობას განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 17. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

1. დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს **(დადგენილება #81, 13.11.2020).**

3. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. **(დადგენილება #81, 13.11.2020).**

5. დადგენილ ვადაში (3 წელი) სადისერტაციო ნაშრომის წარუდგენლობის შემთხვევაში, დოქ-ტორანტს უფლება აქვს დაასრულოს სადოქტორო პროგრამა მომდევნო 2 წლის განმავლობაში.

6. დამატებითი წლის/სემესტრის განმავლობაში დოქტორანტს უნარჩუნდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 18. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქ-ტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადი-სერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სალექციო კურ-სებს, თემატურ სემინარებს და პროფესორის ასისტენტობას. **(02-311, 09.09.2024)**

3. დოქტორანტი თემატურ სემინარ(ებ)ს სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 კვირისა) წარადგენს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის კოორდინატორთან.

3^1.წარმოდგენილი ნაშრომების ელექტრონული ვერსიის ანტიპლაგიატის პროგრამაზე გაგზავნას უზრუნველყოფს დოქტორანტურის კოორდინატორი **(დადგენილება #57, 31.08.2018).**

3^2. ანტიპლაგიატის პროგრამის შედეგები წარედგინება თემის ხელმძღვანელს და მისგან მიღებული დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ნაშრომებს მიეცემა შემდგომი მსვლელობა **(დადგენილება #57, 31.08.2018).**

4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს შუამდგომლობას თემატური სემინარ(ებ)ის დაცვის თარიღისა და კომისიის შემადგენლობის შესახებ, არაუგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა.

5. შუამდგომლობის საფუძველზე რექტორის ბრძანებით ინიშნება დაცვის თარიღი, რომელიც არ შეიძლება გასცდეს საგამოცდო პერიოდს.

6. რექტორის ბრძანებით მტკიცდება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე, მიმართულების-/დარგის აკადემიური პერსონალი (მინიმუმ 5 წევრი);

7. თემატური სემინარ(ებ)ის პრეზენტაციას დოქტორანტი ახორციელებს 20-30 წუთის განმავლო-ბაში, რომელსაც მოჰყვება განხილვა/დისკუსია;

8. კომისიის წევრები ახორციელებენ დოქტორანტის შეფასებას სილაბუსით გათვალისწინე-ბული კრიტერიუმების შესაბამისად. **(02-311, 09.09.2024)**

9. ამოღებულია **(02-311, 09.09.2024)**

მუხლი 19. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

1. სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტის კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, შესაბამისი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების გარდა, სავალდებულო წესით ითვალისწინებს:

ა. რეფერირებად გამოცემებში არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიის პუბლიკაციას, რომლებშიც ასახული უნდა იყოს სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები. მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში. **(02-311, 09.09.2024)**

ბ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას (დოქტორანტი ვალდებულია, მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მაინც. მისი მონაწილეობა უნდა დასტურდებოდეს სერტიფიკატითა და გამოქვეყნებული მასალებით).

2[1]. სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მინიმალურ მოთხოვნებს (მინიმალურ სტანდარტს) ხარისხის მაძიებლის მიმართ განსაზღვრავს დარგობრივი სადისერტაციო საბჭო. **(დადგენილება #03-23, 08.02.2023)**

3. დოქტორანტის სამეცნიერო სტატია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს.

4. სამეცნიერო სტატიები უნდა გამოაქვეყნოს სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული მინიმალური სტანდარტით. **(02-311, 09.09.2024)**

5.დოქტორანტს სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ:

ა. დაბეჭდილია ჟურნალის შესაბამისი ტომი;

ბ. ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. კვლევითი კომპონენტების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსებით.

მუხლი 20. კვლევითი კომპონენტების შედეგების წარდგენა და კომისიაზე დაცვა (დადგენილება #81, 13.11.2020)

1. კვლევითი კომპონენტის ფარგლებში მომზადებულ სავალდებულო ელემენტს დოქტორანტი, სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 კვირისა) წარადგენს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტურის კოორდინატორთან. **(დადგენილება #57, 31.08.2018) (დადგენილება #81, 13.11.2020) (დადგენილება #82, 18.12.2020)**

1[1].წარმოდგენილი ნაშრომის ელექტრონული ვერსიის ანტიპლაგიატის პროგრამაზე გაგზავნას უზრუნველყოფს დოქტორანტურის კოორდინატორი. **(დადგენილება #57, 31.08.2018) (დადგენილება #82, 18.12.2020)**

1[2]. ანტიპლაგიატის პროგრამის შედეგები წარედგინება სამეცნიერო ხელმძღვანელს და მისგან მიღებული დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ნაშრომს მიეცემა შემდგომი მსვლელობა. **(დადგენილება #82, 18.12.2020)**

2. .სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს შუამდგომლობას კვლევითი კომპონენტის ფარგლებში მომზადებული სავალდებულო ელემენტების დაცვის თარიღისა და კომისიის შემადგენლობის შესახებ, არაუგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა. **(დადგენილება #81, 13.11.2020)**

3.შუამდგომლობის საფუძველზე რექტორის ბრძანებით ინიშნება დაცვის თარიღი, რომელიც არ შეიძლება გაცდეს საგამოცდო პერიოდს.

4.რექტორის ბრძანებით მტკიცდება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე, მიმართულების

/დარგის აკადემიური პერსონალი (მინიმუმ 5 წევრი).
5. კვლევითი კომპონენტის ფარგლებში მომზადებული სავალდებულო ელემენტების პრეზენტაციას დოქტორანტი ახორციელებს 20-30 წუთის განმავლობაში, რომელსაც მოჰყვება განხილვა /დისკუსია. **(დადგენილება #81, 13.11.2020)**
6. კომისია დოქტორანტის მიერ შესრულებულ სამუშაოს აფასებს დადებითად ან უარყოფითად და რეკომენდაციას აძლევს მას, გააგრძელოს მუშაობა კვლევითი კომპონენტის შემდგომ ელემენტზე / სადისერტაციო ნაშრომის დასასრულებლად ან წარმოქმნილი შენიშვნების გათვალისწინებით გაასწოროს კვლევითი კომპონენტის შესაბამისი ელემენტი / სადისერტაციო ნაშრომი **(დადგენილება #81, 13.11.2020) (დადგენილება #82, 18.12.2020)**
7. თუ კვლევითი კომპონენტის ფარგლებში მომზადებული სავალდებულო ელემენტი შეიცავს ტექნიკური სახის ხარვეზებს, დოქტორანტს ეძლევა ერთი კვირა გასწორებისთვის და ხდება ყველა პროცედურის თავიდან გავლა. არსებითი ხარვეზის (პლაგიატის ნიშნები, ხელმძღვანელის უარყოფითი რეკომენდაცია, რეცენზენტის უარყოფითი შეფასება) შემთხვევაში, კვლევითი კომპონენტის ფარგლებში მომზადებული სავალდებულო ელემენტის წარდგენა განმეორებით შესაძლებელია შემდეგი სემესტრიდან და გადის იმავე პროცედურებს. **(დადგენილება #82, 18.12.2020)**

მუხლი 20[1]. კვლევითი კომპონენტების შეფასება (02-168, 25.04.2025)

1. **თემატური სემინარის შეფასება:**
   - **1.1.** ნაშრომი დოქტორანტურის სამსახურში წარმოდგენამდე გადის ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმებას.
   - **1.2.** თემატური სემინარის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით და მოიცავს ორ კომპონენტს - წერილობითი ნაშრომის შეფასება ხელმძღვანელის მიერ 80 ქულის ფარგლებში და კომისიის წინაშე დაცვა ფასდება 20 ქულის ფარგლებში.
   - **1.3.** თემატური სემინარის ჩათვლა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომისიის ინდივიდუალურ უწყისებში მიღებული ქულათა საერთო არითმეტიკული აღემატება ან ტოლია თექვსმეტის.
2. **კვლევით ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინის, კოლოქვიუმის შეფასება:**
   - **2.1.** ნაშრომი დოქტორანტურის სამსახურში წარმოდგენამდე გადის ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმებას.
   - **2.2.** კვლევით ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინის, კოლოქვიუმის შეფასება მოიცავს ორ კომპონენტს - ნაშრომზე ხელმძღვანელის მიერ დადებითი დასკვნის გაცემა და მისი კომისიის წინაშე დაცვა, რომელიც ფასდება დადებითი ან უარყოფითი შეფასებით.
   - **2.3.** კვლევით ნაშრომის დაგეგმვა და დიზაინის, კოლოქვიუმის ჩათვლა ხდება, თუკი კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობისგან მიიღებს დადებით შეფასებას.

მუხლი 20[2]. კვლევითი კომპონენტის შედეგების გასაჩივრების პროცედურა (02-168, 25.04.2025)

1. დოქტორანტს უფლება აქვს გაასაჩივროს თემატურ სემინარისა და კვლევით კომპონენტებში მიღებული შედეგი;
2. დოქტორანტმა საჩივარი უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით დოქტორანტურის სამსახურში, კვლევითი ნაშრომის დაგეგმვისა და დიზაინის, თემატური სემინარისა და კვლევითი ნაშრომების კოლოქვიუმების დაცვის კომისიის თავმჯდომარის სახელზე, შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
3. საჩივარს განიხილავს სემესტრული დაცვის აპელაციის კომისია, რომელიც წინასწარ განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობით და მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
4. აპელაციის კომისია შედგება მინიმუმ 3 წევრისგან და არ მოიცავს პირველადი შეფასების პროცესში ჩართულ პირებს.

5. სემესტრული დაცვის აპელაციის კომისია იღებს გადაწყვეტილებას 10 სამუშაო დღეში. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები, კლევითი კომპონენტის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კომისიის წევრთა დასაბუთებული ახსნა-განმარტება ან სხვა ინფორმაცია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავიV
დოქტორანტის ხელმძღვანელობა

მუხლი 21. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი, რომელსაც ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელად მოიწვევს, სადისერტაციო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. (02-311, 09.09.2024)

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი, რომელსაც ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელად ნიშნავს სადისერტაციო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. ხელმძღვანელის მოწვევის შემთხვევაში, დოქტორანტს სავალდებულოა ყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც იქნება უნივერსიტეტის პროფესორი. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე; ***(მოქმედებს 2024 წლის 1 აგვისტოს შემდეგ ჩარიცხულ დოქტორანტებზე);*** (02-311, 09.09.2024)

2. **ამოღებულია** (02-311, 09.09.2024)

3. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.

3. *სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, სამეცნიერო ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უნდა ქონდეს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;* ***მოქმედებს 2024 წლის 1 აგვისტოს შემდეგ ჩარიცხულ დოქტორანტებზე);*** (02-311, 09.09.2024)

4. თემის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო არაუგვიანეს მეორე სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.

მუხლი 22. სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები (დადგენილება #57, 31.08.2018)

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იზიარებს იმ წესებს, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტში.
2. ეხმარება დოქტორანტს საკვლევი თემის შერჩევაში.
3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ახორციელებს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების მონიტორინგს.
4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევითი თუ სასწავლო კომპონენტების წარდგენას დადგენილ ვადებსა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში.
5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში პლაგიატზე დადგენილი ნორმების განუხრელად დაცვის შესახებ დოქტორანტის ინფორმირებას.
6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიღებული ეთიკური ნორმებისა და პროცედურების დაცვას.
7. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აწარმოებს დისერტაციასთან დაკავშირებულ რეგულარულ შეხვედრებს დოქტორანტთან, აძლევს მითითებებს დისერტაციაზე მუშაობის პროცესში, ამზადებს დოქტორანტს სხვადასხვა შესრულებული კომპონენტის პრეზენტაცი-

ისთვის და ახორციელებს საკვალიფიკაციო კვლევის პროგრესის მონიტორინგს სხვადასხვა ეტაპზე.
8. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართვას სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში.
9. ამოღებულია **(02-311, 09.09.2024)**
10. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს აცხადებს ხელმძღვანელობაზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ სწავლების ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 22[1]. დოქტორანტის ფუნქცია-მოვალეობები (დადგენილება #57, 31.08.2018)
1. დოქტორანტი იზიარებს იმ წესებს, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტში.
2. დოქტორანტი ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში, სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დოკუმენტს შერჩეული საკვალიფიკაციო ნაშრომის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობის შესახებ.
3. დოქტორანტი უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად ასრულებს სასწავლო და კვლევითი კომპონენტებს
4. დოქტორანტი დადგენილ ვადებსა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში წარადგენს კვლევით და სასწავლო კომპონენტებს.
5. დოქტორანტი იზიარებს დაწესებულებაში პლაგიატის შესახებ დადგენილ ნორმებს.
6. დოქტორანტი იზიარებს დაწესებულებაში მიღებული ეთიკური ნორმების და პროცედურების დაცვას.
7. დოქტორანტი აწარმოებს დისერტაციასთან დაკავშირებულ რეგულარულ შეხვედრებს ხელმძღვანელთან.
8. დოქტორანტი ერთვება სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში.
9. დოქტორანტი ურთიერთობს ხელმძღვანელთან დისერტაციის მომზადებისა და სხვადასხვა კომპონენტის პრეზენტაციისთვის.
10. ამოღებულია **(02-311, 09.09.2024)**
11. დოქტორანტი თუ უარს აცხადებს სამეცნიერო ხელმძღვანელთან თანამშრომლობაზე, იგი ვალდებულია, ამის შესახებ სწავლების ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 23. სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის შეცვლა
1. დოქტორანტის დასაბუთებული მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე შეიძლება შეიცვალოს სამეცნიერო ხელმძღვანელი. აგრეთვე, ხელმძღვანელის ასეთივე მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც.
2. სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევებში ძველი და ახალი ხელმძღვანელების თანხმობისას შეიძლება, არ შეიცვალოს სადისერტაციო თემა.
3. დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით სემესტრის დაწყებამდე შეიძლება, სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს სადისერტაციო თემა. აღნიშნულ შემთხვევებში, სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლისას, გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

თავი VI
სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა

მუხლი 24. სადისერტაციო ნაშრომი
1. სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერუ-

ლი სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.
2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით.
3. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები, მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

მუხლი 25. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

1. დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის ორ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში) წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.
2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს:
   ა. განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილ-ველად მიღების შესახებ;
   ბ. ფაკულტეტის დეკანის მიერ გაცემული აკადემიური ცნობა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების შესრულების შესახებ; **(02-311, 09.09.2024)**
   გ. დოქტორანტის ავტორობით ან თანაავტორობით სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და ამ დებულების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი; **(02-311, 09.09.2024)**
   დ. სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების მასალები, სადაც მოხსენებუ-ლი იქნა სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები (დოქტორანტი ვალდებულია, მონა-წილეობა ჰქონდეს მიღებული ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მაინც. მისი მონაწილეობა უნდა დასტურდებოდეს სერტიფიკატითა და გამოქვეყნებული მასალებით).
3. წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს თან უნდა დაერთოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის/თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა, რომელშიც გარდა შეფასებისა, აღნიშნული იქნება, რომ სადისერტაციო ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად. **(დადგენილება #04-21, 21.06.2021)**
4. წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს თან უნდა დაერთოს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო სადისერტაციო ნაშრომს და რეკომენდაციას უწევს მის წარდგენას საჯარო განხილვაზე. **(დადგენილება #04-21, 21.06.2021)**
5. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის საფასურის გადახ-დისაგან სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის მომდევნო სემესტრიდან.
6. სადისერტაციო ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს განსახილველად გადაეცემა დამამთავრებელ სემესტრში სასწავლო ვადებით განსაზღვრული სემესტრის დასრულებამდე. **(დადგენილება #03-23, 08.02.2023)**
7. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს კოორდინატორი სამი სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს დოკუმენტაციას და, თუ იგი წესრიგშია, ნაშრომს აგზავნის ანტიპლაგიატის პროგრამაზე შესამოწმებლად. **(02-311, 09.09.2024)**
8. ანტიპლაგიატის პროგრამაზე ნაშრომის შემოწმების შემდეგ, პლაგიატის არარსებობის შემთხვევაში, დოქტორანტურის კოორდინატორი ნაშრომს წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინასწარი შემფასებლების (ექსპერტების) დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. **(02-311, 09.09.2024)**

მუხლი 26. დისერტაციის წინასწარი განხილვა (აპრობაცია)

1. დოქტორანტის მიერ დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭო დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს ორ ექსპერტს (მათ შორის, ერთი მოწვეული/გარე), რომლებმაც 1 თვის ვადაში უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები.
2. ორი ექსპერტის მიერ დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დანიშნავს სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვის თარიღს. წინასწარი დაცვა შედგება სადისერტაციო საბჭოზე. **(დადგენილება #04-21, 21.06.2021)**

3. თუ ერთ-ერთი ექსპერტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, სადისერტაციო საბჭო ნაშრომის შესაფასებლად გამოყოფს მესამე ექსპერტს.
4. ორი უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტაციას არ მიეცემა შემდგომი მსვლელობა და დაუბრუნდება დოქტორანტს გადასამუშავებლად. მას უფლება ექნება, განახლებული ნაშრომი წარმოადგინოს შემდეგ სემესტრში. **(დადგენილება #04-21, 21.06.2021)**
5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
- სადისერტაციო თემის აქტუალურობა;
- სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე;
- ნაშრომის სტრუქტურა, შინაარსობრივი მხარე, საკვლევი მასალის ფლობის ხარისხი;
- კვლევის მეთოდოლოგია, სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებისა და გამოყენების უნარი;
- თანმიმდევრული მსჯელობის, არგუმენტირებისა და ციტირების უნარი;
- პრობლემის ადეკვატური გააზრებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი;
- ვიზუალური მასალის წარმოჩენა, საპრეზენტაციო უნარები.

6. აპრობაციისას დისერტანტი წარმოადგენს თავისი ნაშრომის პრეზენტაციას, რის შემდეგაც სადისერტაციო საბჭოს გაეცნობა ექსპერტების დასკვნები, რომელთაც უპასუხებს დისერტანტი. **(დადგენილება #04-21, 21.06.2021)**
7. აპრობაციის დასრულებისას სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია:
   ა) გამოყოს რეცენზენტები და ნაშრომს მისცეს შემდგომი მსვლელობა;
   ბ) უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ნაშრომი დაუბრუნოს დოქტორანტს შენიშვნებით. დოქტორანტს უფლება აქვს, გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს შემდეგ სემესტრში, დებულებით დადგენილ ვადაში.
   გ) დაუბრუნოს ნაშრომი დისერტანტს გარკვეული შენიშვნებით და მისცეს უფლება, გადაამუშაოს იგი ორი კვირის ვადაში. დისერტანტი ვალდებულია, გადამუშავებულ ნაშრომთან ერთად წერილობით წარმოადგინოს საკუთარი არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტების დასკვნებსა და სადიერტაციო საბჭოს წევრების მოსაზრებებზე, რომელშიც ასახავს, ექსპერტებისა და სადისერტაციო საბჭოს წევრთა რომელი შენიშვნები გაითვალისწინა, რომელს არ დაეთანხმა და რატომ. დასკვნას განიხილავენ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. თუ სამივე მათგანი დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს გადამუშავებულ ნაშრომს, მაშინ თანხმობის წერილზე აწერენ ხელს, რის შემდეგაც, სადისერტაციო საბჭო გამოყოფს რეცენზენტებს და ნაშრომს მიეცემა შემდგომი მსვლელობა. **(დადგენილება #04-21, 21.06.2021)**
8. ამოღებულია **(დადგენილება #04-21, 21.06.2021)**

მუხლი 27. ავტორეფერატი
1. ავტორეფერატი სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვარიანტია.
2. ავტორეფერატი შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ დაინტერესებული პირი გაეცნოს ნაშრომის ძირითად შედეგებს.
3. ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს სატიტულო ფურცელს. მასში ასახული უნდა იყოს: თემის აქტუალურობა, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე, აგრეთვე ინფორმაცია დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ. ავტორეფერატში გადმოცემული უნდა იყოს დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით და ზოგადი დასკვნები.
4. ავტორეფერატში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ავტორის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ ნაშრომების ნუსხა, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.
5. ავტორეფერატი, აგრეთვე, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის დებულებების განხილვის შესახებ (როგორიცაა: მოხსენებები კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებსა და სემინარე-

ბზე).
6.ავტორეფერატი უნდა შესრულდეს ქართულ და ერთ-ერთ საერთაშორისო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ) ენაზე.
7.ავტორეფერატის მთლიანი მოცულობა (ორივე ენაზე) არ უნდა აღემატებოდეს ოთხ ნაბეჭდ თაბახს (64 გვერდი).

მუხლი 28. შემფასებლების (რეცენზენტების) დამტკიცება
1.დისერტაციის წინასწარი განხილვის (აპრობაციის) წარმატებით გავლის შემთხვევაში დისერტანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის ყდაში აკინძულ ოთხ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში), ასევე, ავტორეფერატის 4 ეგზემპლარს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განსათავ-სებლად). **(დადგენილება #57, 31.08.2018) (დადგენილება #82, 18.12.2020)**
1^1 ამოღებულია **(02-311, 09.09.2024)**
1^2. აპრობაციის წარმატების გავლისა და ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს ორ შემფასებელს-რეცენ-ზენტს, რომელთა ვინაობა ანონიმურია. შემფასებელი-რეცენზენტი შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ერთი ადგილობრივი და ერთი საერთაშორისო, რომლებიც ამზადებენ დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი) და აფასებენ სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 აგვისტოს შემდეგ ჩარიცხული დოქტორანტების მიმართ) **(დადგენილება #57, 31.08.2018) (02-311, 09.09.2024)**
1^3. სადისერტაციო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადისერტაციო თემის ხელმძღვანელის არგუმენტირებული დასაბუთების შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია დანიშნოს ორივე შემფასებელი - რეცენზენტი/ექსპერტი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან ან ორივე მოიწვიოს გარედან. **(არ მოქმედებს 2024 წლის 1 აგვისტოს შემდეგ ჩარიცხული დოქტორანტების მიმართ) (დადგენილება #82, 18.12.2020) (02-311, 09.09.2024)**
2. ადგილობრივი რეცენზენტი შეიძლება იყოს ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს. საერთაშორისო რეცენზენტი შეიძლება იყოს უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს; (ამოქმედდეს 2024 წლის 1 აგვისტოს შემდეგ ჩარიცხული დოქტორანტების მიმართ). **(02-311, 09.09.2024)**
3.რეცენზენტი არ შეიძლება იყოს:
ა. **ამოღებულია (დადგენილება #03-23, 08.02.2023)**
ბ. დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი;
გ. დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.
4.დაუშვებელია, რომ ორივე რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი და იმავე სტრუ-ქტურული ერთეულის (მაგალითად, ფაკულტეტის, სკოლის) თანამშრომელი, გარდა ამ მუხლის 1^3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა. **(დადგენილება #82, 18.12.2020)**

5.დოქტორანტურის კოორდინატორი რეცენზენტების დანიშვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარების და ავტორეფერატების გადაცემას რეცენზენტებისათვის.

მუხლი 29. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება

1. რეცენზენტმა (შემფასებელმა) სადისერტაციო ნაშრომის შესახებ თავისი წერილობითი დასკვნა (რეცენზია) სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგოს ნაშრომის გადაცემიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.
2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რეცენზენტის მიერ რეცენზიის წარმოდგენა ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს მესამე რეცენზენტს.
3. რეცენზენტის რეცენზიაში უნდა აისახოს:
   ა. სადოქტორო თემის აქტუალურობა;
   ბ. კვლევის მეცნიერული დონე;
   გ. გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია);
   დ. მიღებული შედეგების სანდოობა;
   ე. დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ.
4. რეცენზია უნდა დადასტურდეს რეცენზენტის ხელმოწერით, რომლის ნამდვილობა უნდა იყოს დამსაქმებელი ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული.
5. **ამოღებულია (დადგენილება #57, 31.08.2018) (დადგენილება #65, 25.04.2019)**
6. **ამოღებულია (დადგენილება #82, 18.12.2020)**
7. **ამოღებულია (დადგენილება #57, 31.08.2018)**
8. **ამოღებულია (დადგენილება #57, 31.08.2018)**
9. იმ შემთხვევაში, თუ ორიდან ერთი რეცენზენტი სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით უარყოფით დასკვნას წარმოადგენს, სადისერტაციო საბჭო ნაშრომის შესაფასებლად, 10 კალენდარული დღის განმავლობაში, ნიშნავს მესამე რეცენზენტს. მესამე რეცენზენტს ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევა 30 კალენდარული დღე. **(დადგენილება #82, 18.12.2020)**
10. თუ მესამე რეცენზენტი დადებითად აფასებს წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს, დოქტორანტი დაიშვება დისერტაციის დაცვაზე. **(დადგენილება #82, 18.12.2020)**
11. სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო ნაშრომი განმეორებით უნდა წარედგინოს მომდევნო ორი წლის განმავლობაში, მაგრამ არაუადრეს უარყოფითი შეფასების მიღებიდან ერთი წლის ვადაში. თუ განმეორებით წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი მიიღებს უარყოფით შეფასებას (პლაგიატზე შემოწმებისას, სამეცნიერო ხელმძღვანელისგან, რეცენზენტისგან), დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი. **(დადგენილება #82, 18.12.2020)**
12. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.
13. სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასებისა და დოქტორანტის დაცვაზე დაუშვებლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს ეძლევა სადისერტაციო ნაშრომზე დამატებითი მუშაობის უფლება. ამ შემთხვევაში დოქტორანტს, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, ეძლევა დამატებითი სემესტრ(ებ)ის აღების უფლება სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.
14. სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო ნაშრომი განმეორებით უნდა წარედგინოს მომდევნო ორი წლის განმავლობაში, მაგრამ არაუადრეს უარყოფითი შეფასების მიღებიდან ერთი წლის ვადაში. თუ განმეორებით წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი მიიღებს უარყოფით შეფასებას, დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

14[1]. დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი, შესწორებული სადისერტაციო ნაშრომი გადის ყველა პროცედურას, რაც დადგენილია ამ დებულებითა და სადოქტორო პროგრამით. **(დადგენილება #82, 18.12.2020)**

15. დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადისერტაციო ნაშრომი გა-

დაეცემათ იმავე შემფასებლებს, ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს ახალ შემფასებლებს.

16. ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი უნდა შესრულდეს ქართულ და ერთ-ერთ საერთაშორისო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ) ენაზე.

17. დაცვაზე დაშვების უარის შემთხვევაში, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს არქივს.

18. დოქტორანტს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი ნებისმიერ ეტაპზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დისერტაციის წარდგენა შეიძლება შემდეგ სასწავლო წელს.

მუხლი 30. დისერტაციის დაცვის თარიღის და კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცება

1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის და კოლეგიის შემადგენლობის (მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარის) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ინიშნება სადისერტაციო საბჭოს სხდომიდან არაუადრეს 25 დღისა. **(დადგენილება #04-24, 19.04.2024)**

3. კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში დოქტორანტურის კოორდინატორი უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარების და ავტორეფერატების გადაცემას სადისერტაციო კოლეგიის წევრებისათვის.

4. დოქტორანტურის კოორდინატორმა დოქტორანტს წერილობით (ფოსტა, ელექტრონული ფოსტა ან სხვა) უნდა აცნობოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობა, დაცვის თარიღი, დრო, ადგილი, გარეშე პირთა დასწრების შესაძლებლობა და მათი დასაშვები რაოდენობა, დაცვის თარიღამდე მინიმუმ 30 დღით ადრე.

5. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დოქტორანტურის კოორდინატორი ავრცელებს ინფორმაციას წერილობითი შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის შესახებ, აგრეთვე უზრუნველყოფს განცხადების გამოკვრას თვალსაჩინო ადგილზე.

მუხლი 31. სადისერტაციო კოლეგია

1. სადისერტაციო კოლეგია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის.

2. სადისერტაციო კოლეგია უნდა შედგებოდეს სადისერტაციო თემის შესაბამისი დარგის 5 ან 7 პროფესორისგან, მათ შორის, გარედან მოწვეული შესაძლებელია იყოს მინიმუმ 1 (5-კაციანი კოლეგიის შემთხვევაში) ან 2 (7-კაციანი კოლეგიის შემთხვევაში) **(დადგენილება #65, 25.04.2019).**

2[1]. თუ სადოქტორო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია შესაბამის დეტალურ სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე სათანადო რაოდენობის კოლეგიის წევრების ან/და რეცენზენტების, ექსპერტების შერჩევა, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს არგუმენტირებული გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის წევრად ან/და რეცენზენტად/ექსპერტად შერჩეულ იქნას ფართო /ვიწრო სფეროში დოქტორის ხარისხის მქონე პირი. **(დადგენილება #82, 18.12.2020)**

3. სადისერტაციო კოლეგიაში ხმის უფლების მქონე წევრი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი, აგრეთვე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, გარედან მოწვეული პროფესორი, რომელთა კომპეტენცია დასტურდება არა მხოლოდ სადისერტაციო თემის შესაბამის დარგში დაცული დისერტაციით, არამედ, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში

შესრულებული სამეცნიერო აქტივობებით. **(დადგენილება #65, 25.04.2019).**
4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ექსპერტები და რეცენზენტები კოლეგიაში მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ (მათ არა აქვთ ხმის მიცემის უფლება).
5. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება მონაწილეობდეს ორზე მეტ დაცვაზე ერთი კვირის განმავლობაში.
6. სადისერტაციო კოლეგიას ხელმძღვანელობს მისი წევრებიდან შერჩეული, სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული თავმჯდომარე, რომელიც არის უნივერსიტეტის მოქმედი ან საპატიო პროფესორი. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან მისი დისერტაციის რეცენზენტი.
6[1]. სადისერტაციო კოლეგიის თავმჯდომარის წარდგინებით კოლეგია ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით ირჩევს კოლეგიის მდივანს ერთჯერადად. კოლეგიის მდივანი პასუხისმგებელია დისერტაციის დაცვის ოქმის შედგენაზე. კოლეგიის მდივანი არ შეიძლება იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან მისი დისერტაციის რეცენზენტი. **(დადგენილება #57, 31.08.2018)**
6[2]. სადისერტაციო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობა შესაძლებელია დაკომპლექტდეს მხოლოდ მოწვეული, 5-7 წევრით, რომელთაგანაც, სადისერტაციო კოლეგიას უხელმძღვანელებს, კოლეგიის მოწვეული წევრებიდან სადისერტაციო საბჭოს მიერ არჩეული თავმჯდომარე. **(02-311, 09.09.2024)**
7. სადისერტაციო კოლეგია უფლებამოსილია, გაეცნოს დისერტაციასთან დაკავშირებით შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს.

მუხლი 32. სადისერტაციო კოლეგიის სხდომა
1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე საჯაროდ.
2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დაშვებული.
3. სადისერტაციო კოლეგიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე კოლეგიის წევრთა 3/4 და მეტი.
თუ დაცვას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, ამ შემთხვევაში რეცენზია მთლიანად უნდა წაიკითხონ დაცვის მსვლელობისას.
4. დაცვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი. თუ იგი საპატიო მიზეზით არ ესწრება კოლეგიის სხდომას, კოლეგიას უგზავნის შესაბამის მოხსენებით ბარათს და დოქტორანტის პიროვნულ დახასიათებას.
5. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დისერტაციის დაცვაზე, ან სადისერტაციო კოლეგიის კვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს მიერ დაინიშნება დამატებითი დაცვა იმავე სემესტრში.
6. სადისერტაციო კოლეგიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა.

მუხლი 33. დისერტაციის დაცვა
1. კოლეგიის სხდომაზე სადისერტაციო კოლეგიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, ექსპერტებისა და რეცენზენტების ვინაობას. კოლეგიის მდივანი კოლეგიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს. **(დადგენილება #57, 31.08.2018)**
2. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადებას. დაცვის პროცესის რეგლამენტს გონივრულად განსაზღვრავს სადისერტაციო კოლეგია.

(დადგენილება #57, 31.08.2018)
3. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. კოლეგიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი კოლეგიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს.
4. ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: მაგალითად, სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.
5. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება სამეცნიერო კამათი. დოქტორანტი უპასუხებს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც კოლეგიის თავმჯდომარე კოლეგიას გააცნობს დისერტაციის წინასწარი განხილვის შედეგებს. იწყება რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელებს) დოქტორანტის დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კოლეგიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს.
6. სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ კოლეგიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.
7. დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად სადისერტაციო კოლეგიის ხმის მიცემის მქონე წევრები გადაწყვეტილებას იღებენ დახურულ დასკვნით სხდომაზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 34. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება
1. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით შემფასებლებისა (რეცენზენტები) და სადისერტაციო კოლეგიის წევრების მიერ ერთჯერადად, სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას **(დადგენილება #65, 25.04.2019)**
1^1. შემფასებელი (რეცენზენტი) სადისერტაციო ნაშრომს აფასებს მაქსიმუმ 40 ქულით. შემფასებლის/რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:
1. თემის აქტუალურობა, პრობლემის იდენტიფიცირება და სტრატეგიის განსაზღვრა - 5 ქულა;
2. საჭირო ინფორმაციაზე წვდომა, ინფორმაციისა და მისი წყაროების კრიტიკული შეფასება და ინფორმაციის გამოყენების ეფექტიანობა, უცხოური კვლევების ჩართულობის ხარისხი - 5 ქულა;
3. ინოვაციური აზროვნება - 5 ქულა;
4. გამოყენებული კვლევის მეთოდების სისტემა, კვლევის მეთოდოლოგია - 5 ქულა;
5. ჩატარებული კვლევის ხარისხი - 5 ქულა;
6. დასკვნები და შედეგები, პრობლემის გადაჭრა - 5 ქულა;
7. კვლევის შედეგების გამოყენების არეალი - 5 ქულა;
8. ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა - 5 ქულა.

თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტში (ორივე შემფასებლის/რეცენზენტის შემთხვევაში) აუცილებელია, დისერტანტმა მოაგროვოს 50%-ზე მეტი ქულა. **(დადგენილება #65, 25.04.2019)**
2. სადისერტაციო კოლეგიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს მაქსიმუმ 60 ქულით, სილაბუსით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად. სადისერტაციო კოლეგიის წევრთა შეფასების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო ქულა - საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კოლეგიის წევრთა რაოდენობაზე). **(დადგენილება #57, 31.08.2018) (დადგენილება #65, 25.04.2019)**
2^1. სადისერტაციო კოლეგიის წევრთა მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების (60 ქულის) კრიტერიუმებია:

1. თემის აქტუალობა, პრობლემის იდენტიფიცირება და სტრატეგიის განსაზღვრა - 5 ქულა;
2. საჭირო ინფორმაციაზე წვდომა, ინფორმაციისა და მისი წყაროების კრიტიკული შეფასება და ინფორმაციის გამოყენების ეფექტიანობა - 5 ქულა;
3. უცხოური კვლევების ჩართულობის ხარისხი - 5 ქულა;
4. ინოვაციური აზროვნება - 5 ქულა;
5. გამოყენებული კვლევის მეთოდების სისტემა, კვლევის მეთოდოლოგია - 5 ქულა;
6. ჩატარებული კვლევის ხარისხი - 5 ქულა;
7. დასკვნები და შედეგები, პრობლემის გადაჭრა - 5 ქულა;
8. კვლევის შედეგების გამოყენების არეალი - 5 ქულა;
9. ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება - 5 ქულა;
10. აკადემიური წერის კულტურა - 5 ქულა;
11. პრეზენტაციის ორგანიზება, მასალის მიწოდების უნარი - 5 ქულა;
12. სამეცნიერო კამათი - 5 ქულა;

თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტში აუცილებელია დისერტანტმა გადალახოს 50-%. **(დადგენილება #65, 25.04.2019)**

3.**ამოღებულია (02-311, 09.09.2024)**

4. **ამოღებულია (დადგენილება #57, 31.08.2018)**

5. ამოღებულია (დადგენილება #57, 31.08.2018)

6. ამოღებულია (დადგენილება #57, 31.08.2018)

7. სადისერტაციო კოლეგიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის არადამაკმაყოფილებელად (insufficienter) შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ.

8. სადისერტაციო კოლეგიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის არადამაკმაყოფილებელად (insufficienter) შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, ეძლევა დამატებითი სემესტრ(ებ)ის აღების უფლება სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით. სადისერტაციო ნაშრომი განმეორებით შეიძლება დაცული იქნას მომდევნო 1 წლის განმავლობაში.

9.სადისერტაციო კოლეგიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის სრულიად არადამაკმაყოფილებლად (sub omni canone) შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

10. **ამოღებულია (დადგენილება #65, 25.04.2019)**

11. სადისერტაციო კოლეგიის წევრები განსაზღვრავენ სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებას რეცენზენტების შეფასების საშუალო არითმეტიკულისა და თვით კოლეგიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულის შეკრებით. თუ ჯამური შედეგი შეადგენს 51-ს ან მეტ ქულას, სადისერტაციო კოლეგია სადისერტაციო ნაშრომს აფასებს დადებითად და ანიჭებს შეფასებას: P - დაიცვა. **(დადგენილება #57, 31.08.2018)**

11^1. სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება (P – დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91 და მეტი ქულა;
- ძალან კარგი – (magna cum laude) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- საშულო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ

მოთხოვნებს მაინც აკაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა **(დადგენილება #57, 31.08.2018).**

11[2]. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების თანახმად, სადოქტორო ნაშრომის შეფასების სისტემით გათვალისწინებული ნებისმიერი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტის მიერ შესრულებული და იმავე ან მომდევნო სემესტრში დაცული დისერტაცია ჩაითვლება დასრულებულად, ფასდება ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი შეფასებით, **რაც** საფუძველია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის / აკადემიური ხარისხის მინიჭებისა. **(დადგენილება #57, 31.08.2018) (დადგენილება #82, 18.12.2020)**

11[3]. სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება (F – ვერ დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:

- არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვ-ნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხ-ოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები. **(დადგენილება #57, 31.08.2018)**

12.სადისერტაციო კოლეგიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს კოლეგიის საბოლოო გადაწყვეტილებას. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს სადისერტაციო კოლეგიის შეფასებას.

13.დისერტაციის დაცვაზე, მის მსვლელობასა და მის საბოლოო შედეგებზე სადისერტაციო საბჭოს მდივანი ადგენს დისერტაციის დაცვის ოქმს, რაზედაც ხელს აწერს კოლეგიის ყველა წევრი.

14.სადისერტაციო ნაშრომის დაცვიდან ათი კალენდარული დღის განმავლობაში დოქტორანტურის კოორდინატორი დისერტაციის ერთ ეგზემპლარს გადასცემს ეროვნულ ბიბლიოთეკას, ხოლო ერთ ეგზემპლარს - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

15.დისერტაციის დაცვის მსვლელობის ვიდეო გადაღება უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტმა.

მუხლი 34[1]. დისერტაციის ნაშრომის დაცვის შედეგის გასაჩივრების პროცედურა (02-168, 25.04.2025)

1. თუ დოქტორანტი არ ეთანხმება სადისერტაციო კოლეგიის დასკვნით შეფასებას, დოქტორანტს უფლება აქვს გაასაჩივროს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შედეგი წერილობითი ფორმით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, შედეგის ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.
2. დოქტორანტის საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული.
3. საჩივარს განიხილავს სააპელაციო კომისია. კომისიის შემადგენლობის შესახებ შუამდგომლობა წარედგინება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ რექტორს, ხოლო რექტორი ამტკიცებს კომისიის შემადგენლობას ბრძანებით. კომისიის შემადგენლობაში არ შედიან თავდაპირველი შეფასების პროცესში მონაწილე პირები.
4. სააპელაციო კომისიის წევრთა დაკომპლექტება ხორციელდება იმავე წესით, რომელიც გათვალისწინებულია სადისერტაციო კოლეგიის დაკომპლექტებისთვის მოქმედი რეგულაციებით.
5. აპელაციის კომისია განიხილავს საჩივარს არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
6. სააპელაციო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.
7. სააპელაციო კომისიის თითოეულ წევრს ინდივიდუალურად გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომი, რეცენზიები, სადისერტაციო კოლეგიის შეფასებები, ასევე შესაბამისი აუდიო-ვიდეო ჩანაწერი.

8. კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ სადისერტაციო ნაშრომსა და საჯარო დაცვას, 100-ქულიანი სისტემის ფარგლებში და შეფასება წერილობით ფორმით გადაეცემა სააპელაციო კომისიის მდივანს.
9. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა არ წარმოადგენს აკადემიური ხარისხის მინიჭების საფუძველს და მათი შეფასება თანხვედრაშია სადისერტაციო საბჭოს მიერ გაცემულ თავდაპირველ უარყოფით შეფასებასთან, სააპელაციო კომისია არ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს და დაინიშნება ხელახალი დაცვა, დებულებით განსაზღვრული წესის და ვადების შესაბამისად.
10. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს სადისერტაციო კოლეგიამ მიანიჭა დოქტორის ხარისხი, მაგრამ ასაჩივრებს მიღებულ ქულას და სააპელაციო კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა მინიმუმ 3 ქულით აღემატება სადისერტაციო კოლეგიის მიერ დოქტორანტისთვის მინიჭებულ თავდაპირველ ქულას, დაინიშნება განმეორებითი დაცვა განახლებული სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობით. განმეორებითი დაცვის დანიშვნისთვის აუცილებელია დოქტორანტის წერილობითი თანხმობა. დოქტორანტს უფლება აქვს უარი განაცხადოს განმეორებით დაცვაზე, რასაც წერილობით ადასტურებს და გულისხმობს თავდაპირველი შეფასების ძალაში დატოვებას.
11. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა ადასტურებს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზანშეწონილობას, ხოლო სადისერტაციო კოლეგიამ არ მიანიჭა ხარისხი დოქტორანტს, დაინიშნება განმეორებითი საჯარო დაცვა, არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, განახლებული სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობით.
12. აპელაციის კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

მუხლი 35. დისერტაციის გამოქვეყნება და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომი დისერტანტმა უნდა გამოაქვეყნოს ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
2. სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ პირს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ანიჭებს დოქტორის კვალიფიკაციას / აკადემიურ ხარისხს, პროგრამით გათვალისწინებულ, შესაბამის დეტალურ სფეროში **(დადგენილება #65, 25.04.2019) (დადგენილება #82, 18.12.2020)**
3. სადისერტაციო საბჭოს მდივანი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებიდან ათი დღის ვადაში ამზადებს ბრძანების პროექტს დოქტორანტისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების და შესაბამისი დიპლომის გაცემის შესახებ, რომელსაც წარუდგინს უნივერსიტეტის რექტორს.
4. ბრძანების გამოცემა, აგრეთვე დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება მოხდება უნივერსიტეტში დადგენილი საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

მუხლი 36. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობა/დიპლომი გაიცემა უნივერ-სიტეტის მიერ.
2. **ამოღებულია (დადგენილება #82, 18.12.2020)**

მუხლი 37. სადისერტაციო საქმის არქივი

1. დისერტაციის დაცვის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს არქივში რჩება სადისერტაციო საქმე, რომელშიც შედის:

   ა. დოქტორანტის განცხადება, დადასტურებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვიზით დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ; ბ. დისერტაციის ავტორეფერატი;

   გ. სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის შესახებ;

დ. დისერტაციის და ავტორეფერატების ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);
ე. დოქტორანტის ავტორობით ან/და თანაავტორობით შესრულებული გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, აგრეთვე მათი სია;
ვ. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების მასალები და ნუსხა;
ზ. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველი შეფასებების (ნიშნების) ფურცელი;
თ. რეცენზენტების დასკვნები;
ი. სადისერტაციო კოლეგიის სხდომის ოქმი, დამოწმებული უნივერსიტეტის ბეჭდით;
კ. წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომის ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით გამოქვეყნების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ლ. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების ასლი დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

2. აკინძული დოკუმენტაცია საბჭოში ინახება ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

მუხლი 38. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს დოქტორის აკადემიური ხარისხი ჩამოერთმევა, სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის, მონაცემების გაყალბების, პლაგიატის და აკადემიური პატიოსნების სხვა ნორმების დარღვევის შემთხვევაში.
2. თუ პლაგიატი ან დისერტაციის დოკუმენტაციის გაყალბება დადგინდა დისერტაციის დაცვის შემდეგ ნებისმიერ დროს, სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია, ბათილად ცნოს მინიჭებული აკადემიური ხარისხი და გააუქმოს შესაბამისი დიპლომი.

თავი VII

სადოქტორო პროგრამა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით (დადგენილება #82, 18.12.2020)

მუხლი 39. შეთანხმება სადოქტორო პროგრამის განხორციელებაზე

1.უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოში აკრედიტებულ უნივერსიტეტებთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უნივერსიტეტებთან ერთობლივად განახორციელოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.
2.სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით წესრიგდება ამ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა და ერთობლივი სადოქტორო პროგრამის განხორციელების შესახებ. **(დადგენილება #82, 18.12.2020)**
3. უნივერსიტეტთაშორისი სადოქტორო პროგრამის ფორმებია:
   ა. ერთობლივი სწავლების ორგანიზება;
   ბ. დოქტორანტის თანახელმძღვანელობა;
   გ. ერთობლივი ხარისხის მინიჭება.

მუხლი 40. განცხადება დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ

1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ორივე უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წინაპირობებს, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულებით ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.
2. დოქტორანტობის მსურველი პირის განცხადებას, ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნდა დაერთოს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი პროფესორის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.

მუხლი 41. სამეცნიერო ხელმძღვანელი
1. პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობის შემთხვევაში დოქტორანტს ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ უნივერსიტეტისა და პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორებმა. აუცილებელია ორივე პროფესორის დასკვნა. დისერტაციის დაცვას უნდა ესწრებოდეს ერთ-ერთი ხელმძღვანელი მაინც.
2. პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც თემის ხელმძღვანელობაზე განაცხადებს თანხმობას, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს თავის დასკვნას.
3. თუ სადისერტაციო საქმისწარმოება უპირატესად პარტნიორ უნივერსიტეტში მიმდინარეობს, მაშინ მოქმედებს პარტნიორი უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება.

მუხლი 42. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი
1. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს ის უნივერსიტეტი, სადაც განხორციელდა დისერტაციის დაცვა.
2. დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ დისერტაცია დაცულია პარტნიორი უნივერსიტეტების მონაწილეობით.

მუხლი 43. დისერტაციის წარდგენისა და დაცვის ენა
დისერტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულად და პარტნიორი უნივერსიტეტის სამუშაო ენაზე. იგივე წესი ვრცელდება დაცვასთან დაკავშირებით.

მუხლი 44. გამოქვეყნება
გადაწყვეტილება დისერტაციის გამოქვეყნების შესახებ მიიღება ამ დებულების ან პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

თავი VIII
საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

მუხლი 45. საპატიო დოქტორის წოდება
1. განსაზღვრულ სფეროში განსაკუთრებული სამეცნიერო დამსახურების მქონე პირს შეიძლება მიენიჭოს საპატიო დოქტორის აკადემიური წოდება.
2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

თავი IX დაფინანსება

მუხლი 46. დაფინანსების წყაროები
დოქტორანტურის დაფინანსება ხორციელდება საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსების ფორმით.

თავი X
მობილობა

მუხლი 47. მობილობა დოქტორანტურაში
1. მობილობის უფლება დოქტორანტს ეძლევა სწავლების პირველი წლის დამთავრების შემდეგ, სემესტრის დაწყებამდე, წელიწადში ორჯერ.
2. მობილობის უფლება დოქტორანტს აქვს მხოლოდ იმავე ან მონათესავე სადოქტორო პროგრამაზე.
3. მობილობის პროცესი რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა აქტების შესაბამისად. **(დადგენილება #57, 31.08.2018)**

4. მობილობით ჩარიცხული დოქტორანტის მონაცემები წარედგინება ფაკულტეტის სადისერ-ტაციო საბჭოს, სადისერტაციო თემის და სადისერტაციო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების მიზნით.
5. სადისერტაციო საბჭო არსებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ამტკიცებს სადისერ-ტაციო თემას და თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს.

თავი XI დასკვნითი დებულებები

მუხლი 48. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების დამტკიცება, ისევე როგორც მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. **(დადგენილება #06-24, 25.07.2024)**
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წინადადების დასმის უფლება აქვს დოქტორანტურის სამსახურის უფროსს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის დეკანს ან სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერ წევრს. **(დადგენილება #06-24, 25.07.2024)**
3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის 2017 წლის 1-ლი იანვრიდან.
4. ამ დებულების 34-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების სისტემა არ ვრცელდება დოქტორანტებზე, რომელთაც კვლევით კომპონენტებში უკვე მოპოვებული აქვთ კრედიტები. მათი საბოლოო შეფასება იქნება 120 კრედიტს გამოკლებული მათ მიერ შესრულებულ კვლევით კომპონენტებში მოპოვებული კრედიტების ჯამი. **(დადგენილება #57, 31.08.2018)**